შერჩეული მუნიციპალიტეტების დახმარება ერთიანი მუნიციპალური ბიუჯეტებით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების ნაერთი (კონსოლიდირებული) ბუღალტრული ანგარიშგების მოსამზადებლად

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამა „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ (GGLD) იწვევს დაინტერესებულ ორგანიზაციებს საკონსულტაციო მომსახურების შესახებ განაცხადების მისაღებად:

1. **პროგრამის მოკლე აღწერა**

პროგრამის სახელწოდება: კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისათვის სამხრეთ კავკასიაში.

მიზანი: საჯარო დაწესებულებები მიერ მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურების

მიწოდება მდგრადობის, ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებითა და დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და გამჭვირვალობის პრინციპების შესახებად აუმჯობესებს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მოქალაქეების ცხოვრების პირობებს.

ძირითადი მოქმედების არეალები:

ა) სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩო-პირობების გაუმჯობესება საჯარო დაწესებულებების მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურებებისათვის.

ბ) მთავარი აქტიორების შესაძლებლობების გაძლიერება მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურებებისა და მათი დაფინანსებისათვის.

გ)მექანიზმების გაძლიერება მომსახურებების მიწოდებაში მოქალაქეთა ჩართულობისათვის.

დ) რეგიონული განვითარების მიდგომების, ინსტიტუციებისა და ინსტრუმენტების გაძლიერება.

ე) ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარება

პროგრამის ხანგრძლივობა: 01/04/2020 – 31/03/2023

2. **ზოგადი ინფორმაცია და მომსახურების მიზანი, შესასრულებელი ამოცანები**

2017-2020 წლებში საქართველოს მუნიციპალიტეტბში საჯარო ფინანსების მართვის შეფასება PEFA-ს ინდიკატორების გამოყენებით განხორციელდა 41 მუნიციპალიტეტში. შეფასებებით გამოვლენილი სისუსტეების აღმოფხვრის მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ გასატარებელი ღონისძინებების წახალისების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის #2735 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და 39 მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა „საჯარო ფინანსების მართვის

რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის თაობაზე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები“. მემორანდუმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსური ანგარიშგების წარმოება (ინდიკატორი 2.1).

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტებმა ფინანსური ანგარიშგება (ბალანსების შედგენა) უნდა აწარმოონ „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილი N364 ბრძანების შესაბამისად. PEFA-ს შეფასებამ გამოავლინა, რომ მუნიციპალიტეტებში არასრულყოფილად ხორციელდება ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესურლება. რიგ შემთხვევებში საერთოდ არ ხდება ფინანსური ანგარიშგებების წარმოება, ხოლო უმეტეს შემთხვევებში არ ხდება ნაერთი ანგარიშგების წარმოება.

წარმოდგენილი ტექნიკური დავალების მიზანია დახმარება გაეწიოს საქართველოს 7 მუნიციპალიტეტს, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შეიმუშონ მუნიციპალიტეტის ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგება. ეს მუნიციპალიტეტებია:

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი;

ბორჯომის მუნიციპალიტეტი;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი;

გურჯაანის მუნიციპალიტეტი;

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი;

ქარელის მუნიციპალიტეტი;

ონის მუნიციპალიტეტი.

წინამდებარე ტექნიკური დავალების შემუშავებას საფუძვლად უდევს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილი N364 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ინსტრუქცია. ტექნიკური დავალების შემუშავებისას გამოყენებულია ბრძანებით დამტკიცებული ანგარიშგების ფორმები (დანართი 1). მომწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს მოცემული დოკუმენტი. ანგარიშგების მომზადება ხდება 2019 31 დეკემბრის მდგომარეობით ადგილობრივი ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების საფინანსო ორგანოების მიერ დადგენილ ვადებში. ბუღალტრული ანგარიშგება უნდა მომზადდეს ამ ფორმების ყველა ასპექტის გათვალისწინებით.

ანგარიშგების ფორმებში უნდა იყოს მაკონტროლებელი და კონტროლირებული ერთეულების ინდივიდუალური ბუღალტრული ანგარიშგების მონაცემები კონსოლიდირებული და წარმოდგენილი ერთიანი ბუღალტრული ანგარიშგების სახით. კონსოლიდაციის პრინციპებიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს მათ შორის განხორციელებული შიდა ოპერაციების ამოთიშვა (ელიმინირება).

1. **ფორმა 1. - ბალანსი** (ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება) უნდა აისახოს ნაერთ ანგარიშგებაში შემავალი ყველა საბალანსო ერთეულის ბალანსზე რიცხული აქტივები, ვალდებულებები, წმინდა ღირებულების და გაუნაწილებელი მოგება/ზარალის (კაპიტალის) მაჩვენებლები მათ მიერ საფინანსო ორგანოში წარმოდგენილი წლიური ბუღალტრული ანგარიშების მონაცემების საფუძველზე.
2. **ბალანსის დანართი ფორმა #2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით** - უნდა აისახოს ყველა საბალანსო ერთეულის ბიუჯეტის საკასო შესრულების მაჩვენებლები (დამტკიცებული გეგმა, დაზუსტებული გეგმა, ვალდებულება, საკასო ხარჯი) საბიუჯეტო კლასიფიკაციის იმ მუხლების მიხედვით, როგორც არის ფორმით გათვალისწინებული და შესაბამისი მუხლების მიხედვით დარიცხვის მეთოდით აღიარებული ხარჯების აგრერირებული მაჩვენებლები, შიდა ოპერაციებით წარმოქმნილი ხარჯების ამოთიშვით.
3. **ბალანსის დანართი ფორმა #2 (1) და ფორმა 2(2) - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ და ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ** - უნდა აისახოს ყველა საბალანსო ერთეულის ბიუჯეტის საკასო შესრულების მაჩვენებლები (დამტკიცებული გეგმა, დაზუსტებული გეგმა, ვალდებულება, საკასო ხარჯი) საბიუჯეტო კლასიფიკაციის იმ მუხლების მიხედვით, როგორ არის ფორმით გათვალისწინებული .
4. **ბალანსის დანართი ფორმა #3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ** - უნდა აისახოს ყველა საბალანსო ერთეულის ფაქტიური (დარიცხული) ხარჯები, ფაქტიური (დარიცხული) შემოსავლები საბიუჯეტო საქმიანობის შედეგად, ამასთან შიდა ოპერაციებით წარმოშობილი ხარჯების და შემოსავლების ამოთიშვით; ასევე საბალანსო ერთეულების დაფინანსების ჯამური მაჩვენებლები, საბიუჯეტო საქმიანობის შედეგად აქტივების და ვალდებულებების ოპერაციის გარეშე ცვლილებების ჯამური მაჩვენებლები არასაოპერაციო შემოსავლების/არასაოპერაციო ხარჯების სახით; შემოსავლების საკასო შესრულებით ყველ ერთეულის ბიუჯეტის წინაშე წარმოშობილი ვალდებულებების ჯამური მოცულობა. მიღებული შედეგები წმინდა ღირებულების ცვლილების მაჩვენებელზე უნდა შეესაბამებოდეს ბალანსში ასახულ წმინდა ღირებულების მაჩვენებელს..

5. **ბალანსის დანართი ფორმა #4 - ანგარიში არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ,**

- უნდა აისახოს ყველა საბალანსო ერთეულის არასაბიუჯეტო სახსრებით ბიუჯეტის საკასო შესრულების აგრერირებული მაჩვენებლები (დაზუსტებული გეგმა, საკასო ხარჯი) საბიუჯეტო კლასიფიკაციის იმ მუხლების მიხედვით, როგორც არის ფორმით გათვალისწინებული და შესაბამისი მუხლების მიხედვით დარიცხვის მეთოდით აღიარებული ხარჯების აგრერირებული მაჩვენებლები, შიდა ოპერაციებით წარმოქმნილი ხარჯების ამოთიშვით; ასევე
- არასაბიუჯეტო სახსრებით წარმოქმნილი არაფინანსური და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებები ოპერაციის გარეშე არასაოპერაციო შემოსავლების/არასაოპერაციო ხარჯების სახით;

6. **ბალანსის დანართი ფორმა #5-1 - ანგარიში არასოპერაციო შემოსავლებისა და არასაოპერაციო ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ -** უნდა აისახოს დარიცხვის მეთოდით ყველა ერთეულის მიერ აღიარებული საბიუჯეტო სახსრებით წარმოქმნილი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებები ოპერაციის გარეშე.

7. **ბალანსის სხვა დანართი ფორმებში უნდა აისახოს თითოეული საბალანსო ერთეულის ანალიზური აღრიცხვის მონაცემები (ჯამური და ინდივიდუალური ინფორმაციის სახით შესაბამის ფორმებში).**

ა. ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ ფორმა #5;

ბ. ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე ფორმა #6;

გ. ინფორმაცია ორგანიზაციების ანგარიშებზე რიცხული ფინანსური აქტივები და მოთხოვნებზე წარმოშობის წლების მიხედვით ფორმა №7;

დ. ინფორმაცია ორგანიზაციის ორგანიზაციის ანგარიშებზე რიცხული ვალდებულებებზე წარმოშობის წლების მიხედვით ფორმა #8

ე. ორგანიზაციის ანგარიშებზე რიცხული ვალდებულებები წარმოშობის წლების მიხედვით №9

ვ. ინფორმაცია ფინანსური აქტივების და მოთხოვნების შესახებ დებიტორების მიხედვით ფორმა #9

ზ. ინფორმაცია ვალდებულებების შესახებ კრედიტორების მიხედვით ფორმა #10

3. სამუშაო შესრულების სავარაუდო პერიოდი და ანგარიშგება

სამუშაოს დაწყება: 10.06.2021

სამუშაოს დასრულება 10.09.2021

საბოლოო ანგარიში უნდა მოიცავდეს საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის შესახებ განცხადებით, ასევე სამუშაო გეგმით განსაზღვრული ყველა ამოცანის შესრულების შესახებ ინფორმაციას.

შესრულებული სამუშაოს ანგარიშგება უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე. შეფასების ძირითადი შემაჯამებელი ნაწილის წარმოდგენა უნდა მოხდეს ასევე ინგლისურ ენაზე.

4. სხვა საკითხები

- ყველა ზემოაღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით სამუშაოს მიმღები რეგულარულად მიაწვდის ინფორმაციას და ყველა ცალკეულ ღონისძიებას შეათანხმებს GIZ-თან.
- სამუშაო მიმღები გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) შეთანხმების საფუძველზე პროექტის განხორციელების დროს მჭიდროდ ითანამშრომლებს და პროექტის მსვლელობის შესახებ რეგულარულ ინფორმაციას მიაწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებს.

5. განაცხადების მიღება და შერჩევა

საკონსულტაციო მომსახურების განსახორციელებლად პარტნიორის შერჩევა მოხდება კონკურსის საფუძველზე.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ სამეწარმეო (LLC) და არასამეწარმეო იურიდიულ პირებს (NLC, NPO), არასამთავრობო ორგანიზაციებს/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს.

განაცხადების შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

სამუშაოს მიღების პრეტენდენტის სამუშაო გეგმა

1. ორგანიზაციის გუნდის გამოცდილება ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში მსგავსი პროექტების განხორციელების კუთხით (შემოთავაზებით უნდა დასტურდებოდეს ორგანიზაციის გამოცდილება მსგავსი ღონისძიებების განხორციელებისა და დოკუმენტების შემუშავების მიმართულებით);

2. ორგანიზაციის მიერ სამუშაოს დაგეგმვისა და სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული მიზნებისა და კონკრეტული ამოცანების მიღწევის გზები, პროექტის განხორციელების გეგმა და აქტივობების განხორციელების განრიგი სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული სამი ძირითადი მიმართულების შესაბამისად);

3. სამუშაოს განხორციელების გეგმა ამოცანების და აქტივობების მიხედვით გადანაწილებული სამუშაო დღეების რაოდენობების მითითებით;

4. წარმოდგენილი ექსპერტების მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება მსგავსი პროექტების განხორციელების კუთხით სამუშაო აღწერილობაში მითითებულ თემებზე (როგორიცაა, მუნიციპალური ფინანსები, საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება, ფინანსური აუდიტი და სხვა). მსგავსი პროექტების განხორციელების კუთხით გამოცდილება უნდა დასტურდებოდეს წარმოდგენილი რეზიუმეებით (CV-ებით);

5. ექსპერტს უნდა გააჩნდეს მუნიციპალიტეტისათვის "ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის #364 ბრანებით განსაზღვრული ფორმების შესაბამისად მუნიციპალიტეტის ნაერთი (მუნიციპალიტეტი პლუს მისი დაფუძნებული ორგანიზაციები ააიპ, სსიპ) ბალანსის შედგენის გამოცდილება.

6. წარმოდგენილი ექსპერტების გამოცდილება სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებულ თემებზე. შესაბამისი ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს წარმოდგენილ რეზიუმეებში;

7. ბიუჯეტის ხარჯთეფექტურობა.

შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით უფრო დეტალურად იხ. თანდართული შეფასების სქემა.

განაცხადის წარდგენა

განაცხადის მომზადება უნდა მოხდეს ინგლისურ და ქართულ ენაზე.

შემოთავაზების შინაარსობრივი ნაწილი უნდა მოიცავდეს შედეგ ინფორმაციას და არ უნდა შეიცავდეს ფასს. *(შემოთავაზებული სტრუქტურა არის სარეკომენდაციო ხასიათის):*

1. თავფურცელი

ორგანიზაციის დასახელება და რეგისტრაციის ნომერი. იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა და ბეჭედი.

2. პროექტის დასახელება და დაწყება-დასრულების ვადა (თვე/წელი-თვე/წელი)

2.1 პროექტის აღწერა

2.2. პროექტის მიზნები და ამოცანები, მათი განხორციელების გეგმა (შესაბამისობაში უნდა იყოს სატენდერო განაცხადში მოცემულ სამუშაო აღწერილობასთან)

2.3 პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები და შესრულების განრიგი

#	ღონისძიება	მარტი	აპრილი	მაისი	კომენტარი

1	X				*[მიუთითეთ საჭიროებისამებრ]*
2	Y				
3	Z				
...	…				

2.4 პროექტში ჩართული პირები და მათი ფუნქციები

ჩამოთვალეთ იმ პირების ვინაობა და ფუნქცია ვინც მოიაზრება პროექტის განხორციელებაში და ასახულია შესაბამისად ბიუჯეტში.

2.5. დანართი

განაცხადს თან უნდა ერთვოდეს პროექტის განხორციელებაში გათვალისწინებული პირების რეზიუმეები და მომსახურების განხორციელების შესაძლებლობის დასაბუთება ორგანიზაციის მიერ.

დანართის სახით ასევე შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რასაც განმცხადებელი მიიჩნევს რელევანტურად.

ფინანსური შემოთავაზება უნდა მოიცავდეს შედეგ ინფორმაციას:

ბიუჯეტი (ლარში, დღგ-ს გარეშე)

#	კატეგორია	ერთეული	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ფასი (GEL)	საერთო ღირებულება (GEL)	განმარტება
1	**ექსპერტის ჰონორარი****					
1.1		[კაც-დღე]				
1.2						
1.3						
	...					
	ჯამი					
2	**სხვა ხარჯი (საჭიროებისამებრ)**					
2.1	ტრანსპორტის ხარჯი					
2.2	ღამისთევის ხარჯი					
2.3	სასტუმროს ხარჯი					
2.4	დღიური თანხა პერდიემი	15 ლარი/დღე				
2.5	...					
	ჯამი					
	სულ ჯამი					

ბიუჯეტში არ შეიტანოთ ის ხარჯი, რაც არ შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ასევე, არ ანაზღაურდება ორგანიზაციის მიმდინარე ხარჯები.

ექსპერტის ჰონორარი უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, მათ შორის სხვა პერსონალის ხარჯებს, კომუნიკაციის, ანგარიშგების და ასევე ყველა შესაძლო დამატებით ხარჯს, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს მოგების, ინტერესებისა და რისკების ფაქტორებთან. (როგორც მითითებულია ხელშეკრულების ზოგადი პირობების 10.2 მუხლში/ დანართი 4.

**მითითებული ჰონორარები უნდა მოიცავდეს საშემოსავლო გადასახადისა და საპენსიო შენატანის ხარჯებს.*